საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვერენჩხილაძე რევაზ კასიანეს ძე

კვერენჩხილაძე რევაზ კასიანეს ძე (დ. 5. VIII. 1928, სოფ. ხორეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი.

დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1952). 1952–2013 მუშაობდა საქართვ. მწერალთა კავშირში, 1960–2005 იყო მწერალთა კავშირის ბ-კის გამგე. 2013-იდან საქართვ. მწერალთა ეროვნ. აკადემიის წევრია. იკვლევს XX ს. სამწერლო გაერთიანება-ორგანიზაციების ისტორიას, მწერალთა ცხოვრებისა და რეპრესიების ამსახველ საკითხებს. აქვეყნებდა სტატიებსა და ნარკვევებს ჟურნალ-გაზეთებში, 2001–07 კითხულობდა მოხსენებებს საავტორო „ლიტერატურულ ორშაბათობებზე".

მწერალთა კავშირის ისტორიას ეხება კ-ის წიგნები: „საქართველოს მწერალთა კავშირი. 1917–1982" (1983), „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება" (2008), „ქვიშხეთის ხიბლი" (2009), „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურები" (2012). 2010 კ-ს მიენიჭა „ქართული კულტურის ამაგდარის" წოდება, 2012 – ნ. ნიკოლაძის სახ. პრემია; მიღებული აქვს დავით აღმაშენებლის პრემია (2013) „ქართული მწერლობის მატიანის" შედგენისათვის.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თხზ.: წამების გზა. ორტომეული, თბ., 1999, 2005, 2014; რეპრესირებული ოჯახის ისტორია, თბ., 2006; საბუთები ღაღადებენ, თბ., 2007, 2011; რეპრესირებული პოეზია, თბ., 2013.